



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბათუმი



ბათუმი

ბათუმი, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი. მნიშვნელოვანი სამრეწვ., კულტ. და საკურორტო ქალაქი. მსხვილი საერთაშ. ნავსადგური შავი ზღვის სამხრ.-აღმ. სანაპიროზე, ბაქო - ბ-ის რკინიგზისა და ნავთობსადენის ბოლო პუნქტი, საავტ. გზების კვანძი. 152,8 ათ. მცხ. (2014). გაშენებულია ღრმა, კარგად დაცული ბუნებრივი ნავსაყუდელის - ბათუმის ყურის ნაპირას. ზ. დ. 5 მ, თბილისიდან 360 კმ . ქალაქი გადაჭიმულია ჩრდ.-აღმ-იდან სამხრ.-დას-კენ 7 კმ-ზე. სიგანე ზღვის ნაპირიდან გორაკ-ბორცვებამდე 1 - 2,5 კმ. ფართ. 1937 ჰა, აქედან განაშენიანებულია 1300 ჰა-ზე მეტი. ბ-ის ძირითადი ნაწილი სამხრ-იდან ეკვრის ყურეს და გაშენებულია კახაბრის ვაკის ჩრდ. მონაკვეთზე, დანარჩენი ნაწილი ყურის აღმ-ით და ჩრდ.-აღმ-ით - მდ-ების ბარცხანისა და ყოროლისწყლის გასწვრივ.

ჰავა

ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია. იცის თბილი, უთოვლო ზამთარი და თბილი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 14,50C, იანვ. საშ. ტემპ-რა 7,10C, აგვ. 23,20C. ნალექები 2700 მმ წელიწადში. შეფარდებითი სინოტივე 81%. ხშირია კოკისპირული წვიმა. თოვლი იშვიათად მოდის და მალე დნება. ზღვის წყლის საშ. წლ. ტემპ-რა ნაპირთან 16,70C. სანაპირო ზოლში კარგად არის გამოხატული ზღვის ბრიზები, რის გამოც სიცხე ნაკლებად შეიგრძნობა. ბ-ის ტერიტორიაზე არის ტბა (ფართ. 0,06 კმ²). ქალაქსა და მის მიდამოებში გავრცელებულია მრავალნაირი სუბტროპ. მცენარე; ჭარბობს ხელოვნურად გაშენებული

პარკები, ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ნარგავები. გორაკ-ბორცვებზე აქა-იქ შემორჩენილია კოლხ. ბუნებრივი ტყე და ბუჩქნარი.

მოსახლეობა

1926 აღწერით ბ-ში იყო 48,5 ათ. მცხ., 1939 წ. – 70 ათ., 1959 წ. – 82,3 ათ., 1970 წ. – 101 ათ., 1979 წ. – 122,8 ათ., 1989 წ. – 136, 9 ათასი. უკანასკნელ წლებში ქალაქის მოსახლეობის საშ. წლ. მატება დაახლ. 2%-ს შეადგენს. მოსახლ. ეროვნ. შემადგენლობა (2014): ქართველი -142,7 ათ., სომეხი -4,6 ათ., რუსი -2, 9 ათ. და სხვ. მოსახლ. სიმჭიდროვე 1857,1 კაცი 1 კმ²-ზე (2014).

ისტორიული ცნობა

ბ-სა და მის მიდამოებში, მდ. ყოროლისწყლის შესართავთან, მის მარცხ. ნაპირზე აღმოჩენილი არქეოლ. მასალა (გორა, სადაც VI ს-ში ციხე აიგო, რ-საც მოსახლ. დღეს „თამარის ციხეს“ უწოდებს) ადასტურებს, რომ ეს მიდამოები ადამიანის მიერ ათვისებული იყო ჯერ კიდევ ძვ. წ. II – I ათასწლეულების მიჯნაზე. ადრინდ. ანტ. ხანაში აქაურ მოსახლეობას ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან. ძვ. ბერძნები ამ პუნქტს „ბათუსის“ (Bathus – ღრმა) სახელით იცნობდნენ (პირველად მოხსენიებული აქვს არისტოტელეს). მომდევნო ხანის ბერძენი და რომაელი ავტორები (პლინიუსი, არიანე და სხვ.) ამ სახელით მხოლოდ მდინარეს იხსენიებენ. რომაელ იმპ. ადრიანეს დროს (II ს.) დღევანდელი ბ-ის ტერიტორიაზე რომაელთა სამხ. ბანაკი იყო. ადრინდ. ფეოლ. ხანაში, სხვა ზღვისპირა პუნქტებისაგან განსხვავებით, ბ. დანიანურებული იყო, რასაც ხელს უწყობდა მისი მდებარეობა ქვეყნის შიდა რ-ნებისაკენ მიმავალი გზების დასაწყისში. ფეოლ. ხანაში ბ-ის ციხის გარშემო არსებობდა სოფლის ტიპის დასახლება, მაგრამ იგი ქალაქადაც იხსენიება (ამბროჯო კონტარინი). XIII ს. დასასრ. – XIV ს. დასაწყისში ბ. ოდიშის მთავრებს – ბედიანებს ეკუთვნოდათ. XV ს. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ გურიელების სამფლობელო იყო. 1547 ქალაქი ოსმალებმა დაიკავეს. 1564 როსტომ გურიელმა დაიბრუნა, მალე ისევ ოსმალთა ხელში გადავიდა. 1609 მამია გურიელმა გაანადგურა ბ-ში მყოფი ოსმალთა გარნიზონი. მიუხედავად ამისა, ოსმალები კვლავ დაეუფლნენ ბ-ს. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, XVIII ს-ში ბ. მცირე ქალაქი იყო, რ-საც საუცხოო ციტადელი ჰქონდა. ბერლინის ტრაქტატით (1878) ბ. რუს. იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. 1878 – 86 ბ-ის ნავსადგური გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ (უცხ. საქონლის უბაჟოდ შემოტანა-გატანის უფლების მქონე ნავსადგურად), რამაც ხელი შეუწყო ქალაქის ზრდას. ბაქო – ბ-ის რკინიგზის გაყვანის (1883), ნავსადგურის რეკონსტრუქციისა და ბაქოსთან ნავთობსადენი მილით დაკავშირების (1897–1907) შემდეგ ბ. შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ნავსადგური გახდა. აქედან გაჰქონდათ ნავთობპროდუქტები სხვა ქვეყნებში. ცარიზმი ბ-სა და მთლიანად აჭარაში თანამიმდევრულად ახორციელებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას. ბ-

ში წარმოიქმნა ეროვნ. მოძრაობის ძლიერი კერა, რ-საც მესვეურობდნენ ი. მესხი, ვ. ასათიანი, მ. და კ. აბაშიძეები, გ. კაიკაციშვილი, დ. კლდიაშვილი და სხვ. ქართველ მოღვაწეები შეუპოვრად ებრძოდნენ რუს შოვინისტ მოხელეებს და თურქ ანექსიონისტებს. ქართ. სულისკვეთების აღორძინებაში დიდ როლს თამაშობდა ბ-ის ქართული გიმნაზია და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. XX ს. დამდეგს ბ-ის ნავთობის სანარმოებში შეიქმნა მუშათა ს.-დ. ორგანიზაციები, რ-ებიც აწყობდნენ პოლიტ. ხასიათის აქციებს (იხ. ბათუმის მუშათა გაფიცვა და დემონსტრაცია 1902). 1905 ივლ. ბ-ის მუშები ჩაებნენ სამხრ. რუსეთის საყოველთაო გაფიცვაში. 30 ნოემბ. მოხდა მუშათა შეიარაღებული აჯანყება, რ-საც მხარი დაუჭირეს გურიისა და ქვემო აჭარის შეიარაღებულმა „წითელმა ასეულებმა“. რეაქციის წლებში ცარიზმმა ბ-ში გააძლიერა რეპრესიები. I მსოფლიო ომის (1914 - 18) დროს თურქ. სარდლობის ცდა, ხელთ ეგდო ბ., ჩაიშალა. ბრესტის ზავის (1918) თანახმად, ამიერკავკ. კომისარიატისა და სეიმის თანხმობის გარეშე, ბ. და სამხრ. საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთს მიეკუთვნა. 1918 აპრილში თურქებმა ბ-ში თავიანთი ჯარები შემოიყვანეს. I მსოფლიო ომში გერმანია-თურქ. ბლოკის დამარცხების შემდეგ, მუდროსის დაზავების (1918) თანახმად, ბ-ში ინგლისელთა ჯარები შემოვიდნენ. ინგლისმა აქ შექმნა თავისი საგუბერნატორო. ამ დროს ბ-ის დაპატრონებას ცდილობდა, ერთი მხრივ, გენერალი ა. დენიკინი, მეორეს მხრივ - პანთურქისტული წრეების წარმომადგენელი სერვერ-ბეგ ათაბაგი, რ-იც ე. წ. „ყარსის მთავრობას“ მესვეურობდა. ბათუმ-აჭარის მუსლიმანი ქართველობა წინ აღუდგა თეთრგვარდიელებისა და ოსმალთა დამპყრობლების მცდელობას. 1919 წ. 31 აგვ. ბ-ში შეიკრიბა მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლობა, რ-მაც შეიმუშავა მიმართვა საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და პარიზის საზავო კონფერენციისადმი. ამ მიმართვაში ბ., ისევე, როგორც მთელი აჭარა, აღიარებული იყო საქართველოს განუყოფელ ნაწილად ავტონომიური მმართველობის უფლებით. საქართვე. დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ. 25 დეკ. აჭარის ოლქი ბათუმითურთ საქართვე. განუყოფელ ნაწილად გამოაცხადა, რაც აღიარებულია რუსეთ-საქართველოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულებითაც. 1920 წ. 4 ივლ. ბ-იდან გავიდა ინგლისის ჯარი. 1921 თებ.-მარტში, როცა საბჭოთა რუსეთის ჯარები შემოიჭრნენ საქართველოში, ქემალისტურმა თურქეთმა კვლავ სცადა ბ-ის დაპატრონება, მაგრამ გენ. გ. მაზნიაშვილის ჯარებმა თურქებს ქალაქი დაათოვებინეს. 1921 წ. 19 მარტს ბ. საბჭოთა რუსეთის ჯარებმა დაიკავეს. ბ-ის მოსახლეობა და მოწინავე საზოგადოება არ შერიგებია კომუნისტურ რეჟიმს. აქაური ინტელიგენცია აქტიურად მონაწილეობდა 1924 აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყებაში, რისთვისაც მწვავე რეპრესიები განიცადა. ინდუსტრიალიზაციისა და საყოველთაო კოლექტივიზაციის წლებში საბჭ. ხელისუფლება აჭარაში ახორციელებდა მრავალ იძულებით ღონისძიებას. ყოველივე ამის გამო 1928 აჭარის მოსახლეობა აჯანყდა და დაიწყო ანგარიშსწორება ხელმძღვ. კომუნისტების მიმართ. 1937-38 საბჭ. ხელმძღვანელობამ ბ-ში ისევე როგორც მთელ საქართველოში, განახორციელა რეპრესიები ე. წ. „ხალხის მტრების“ წინააღმდეგ, რასაც ასეულობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ეკონომიკა

ბ. საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწვ. ცენტრია. მთავარი დარგებია ნავთობგადამუშავება, ფარმაკოქიმ., მსუბუქი და კვების მრეწველობა. განვითარებულია აგრეთვე საშენი მასალების წარმოება და ხე-ტყის გადამუშავება. ზოგიერთი სამრეწვ. საწარმო უმთავრესად ადგილ. მოთხოვნილების ფართო მოხმარების საგნებს ამზადებს. ბ-ის ენერჯეტ. ბაზის შექმნაში დიდი როლი ითამაშა აჭარისწყლის ჰესმა, რ-იც ამჟამად ჩართულია საქართვ. ერთიან ენერგოსისტემაში. ქალაქის უმსხვილესი საწარმოა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. მძლავრი ქიმიურ-ფარმაცევტული საწარმო ამუშავებს სამკურნ. მცენარეებს და უშვებს 40-მდე დასახელების სამედ. პრეპარატს. სამრეწვ. წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ავეჯის დამზადებას. მსუბუქი მრეწვ. საწარმოები ამზადებენ ტანსაცმელს და ფართო მოხმარების სხვა საგნებს. კვების მრეწვ. საწარმოებიდან აღსანიშნავია ციტრუსკომბინატი (უშვებს ციტრუსებისა და სხვა ხილის კონსერვებს). ქალაქში არის აგრეთვე ფ-კები, ხორცკომბინატი, პურკომბინატი, ლუდისა, რძის ქ-ნები. ბ-ზე მოდის აჭარის მრეწვ. მთლიანი პროდუქციის უდიდესი ნაწილი. ბ. რესპ. მსხვილი სატრანსპ. კვანძია, სადაც თავს იყრის საზღვ., სარკინიგზო და საავტ. კომუნიკაციები. აქ წარმოებს მსხვილი საზღვ.-სატრანსპ. ოპერაციები; ბ. კავკ. ნავთობის გაზიდვის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ნავსადგურია შავი ზღვის მთელ სანაპიროზე, იგი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და დიდ საოკეანო ტანკერებს ემსახურება. სატრანსპ. კვანძის საერთო ტვირთბრუნვაში სატრანზიტო ტვირთებთან ერთად დიდი ადგილი უკავია თვით ქალაქის და მისი უახლოესი მიდამოების სამეურნეო ტვირთებს. მთლიანად მექანიზებულია მშრალი ტვირთების ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები. აშენდა ახ. საზღვაო ვაგზალი. მნიშვნელოვანია აგრეთვე მგზავრთა გადაყვანა შორეული და ადგილ. მარშრუტებით. უკანასკნელ წლებში ქალაქის საგარეო ეკონ. კავშირურთიერთობაში დიდად გაიზარდა ავტოტრანსპორტის როლი. თანამედროვე საავტ. გზატკეცილებით ბ. დაკავშირებულია საქართვ. უმნიშვნელოვანეს ცენტრებთან, აჭარის შიგარ-ნებთან და თურქეთთან. ქალაქის მახლობლად არის საერთაშ. აეროპორტი.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა



ბათუმი. აკვა პარკი

ბ. რესპ. დიდი კულტ. ცენტრია. ქალაქში 50-მდე სკოლამდელი დაწესებულებაა, ყველა სახის 30 ზოგადსაგანმან. სკოლა (20,6 ათ. მოსწ.), მ. შ. 2 სკოლა-ინტერნატი, ბავშვთა სახლი; სკოლისგარეშე დაწესებულებები: მოსწავლე ახალგაზრდობის რესპ. სასახლე, მოსწავლე ახალგაზრდობის პარკი, 7 სპორტსკოლა, 9 სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა, 3

პროფტექსასწავლებელი და ბ-ის სამშენებლო კოლეჯი, 6 საშ. სპეცსასწავლებელი (ინდუსტრ., კომერციის ტექნიკუმები, სამედ., ზ. ფალიაშვილის სახ. სამუსიკო, ნ.

კანდელაკის სახ. სამხატვრო, ი. კობალაძის სახ. კულტსაგანმან. სასწავლებლები), ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართვე. ტექ. უნ-ტის ბათუმის ინ-ტი დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფაკ-ტებით, აგრეთვე ფასიანი სასწავლებლები: ბ-ის დამოუკიდებელი უნ-ტი, ბ-ის სამართლის ინ-ტი, ბ-ის ბიზნესისა და მარკეტინგის ინ-ტი, ბ-ის უმაღლესი ეკოლ. კოლეჯი, დამოუკიდებელი ჰუმანიტარული ინ-ტი, კოლხეთის სასწ.-სამეცნ. ინ-ტი, ბ-ის სოფ. მეურნ. პროდუქტთა ტექნოლ. და ბიზნესის ორგანიზაციის ინ-ტი, გონიოს კოოპ. ინ-ტი. მოქმედებს ანდრია პირველწოდებულის სახ. სასულიერო გიმნაზია (საეპისკოპოსო ტაძართან). ბ-ში მოქმედებს საქართვე. მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილება, საქართვე. მეცნ. აკად. აჭარის სამეცნიერო ცენტრი (1995), ნ. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, შავი ზღვის ეკოლოგიისა და თევზის მეურნეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, სუბტროპ. ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სამეცნ.-კვლ. და ექსპერ.-საკონსტრუქტორო ინ-ტი (დაარსდა 1945-82 არსებული საქართვე. კვების მრეწველობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბათუმის ფილიალის ბაზაზე, 1982), სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება „ისრის“ ბ-ის მაღალი ძაბვის ლაბორატორია; ბათუმის აკვარიუმი, ბათუმის დელფინარიუმი და სხვ.



ბათუმი დრამატული თეატრი

ჯერ კიდევ 1901 შეიქმნა ბათუმის მუშათა თეატრი. ბ-შია ი. ჭავჭავაძის სახ. ბათუმის სახელმწ. დრამ. თეატრი, საოპერო თეატრი, თოჯინების სახელმწ. თეატრი, სახელმწ. ფილარმონია, სახელმწ. ცირკი, 7 მუზეუმი, ა. წერეთლის სახ. რესპ. ბ-კა (აჭარის ავტონ. რესპ. ბ-კების მოთავე ბ-კა და მეთოდ-ცენტრი), ი. გოგებაშვილის სახ. რესპ. საბავშვო ბ-კა, საბიბლიოთეკო ცენტრალიზებული სისტემა (29 ბ-კა-ფილიალით), 13 კულტსახლი და კლუბი, 5 დისკოკლუბი, 5 კინოთეატრი, ხალხ. შემოქმედებისა და კულტსაგანმან.

მუშაობის სამეცნ.-მეთოდცენტრი, კულტსაგანმან. კომპლექსი „ბათუმი“. ბ-ში გამოდის ავტონ. რესპ. გაზეთები „აჭარა“ (ქართ. ენაზე) და „ვესტნიკ ადჟარიი“ (რუს. ენაზე), მხატვრულ-ლიტ. ჟურნ. „ჭოროხი“. მუშაობს გამომც. „აჭარა“ (1921), სადაც ყოველწლიურად ისტამბება საზ.-პოლიტ., სოც.-ეკონ., მხატვრული და სხვა 60-მდე დასახელების წიგნი 300 ათ-მდე საერთო ტირაჟით. ადგილ. რადიოცენტრი (1971-იდან), აჭარის ტელევიზია (1987-იდან, ტელესტუდია). ბ-ში ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება (2021) 23 სამკურნ. დაწესებულება (2,6 ათ. საწოლი), მ. შ. 3 „ვევექსის კლინიკები“ (ს.ს), „მედალვა“ (შ პ ს), ბათუმის რესპ. კლინ. საავადმყოფო (შპს), ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის ცენტრი (შპს), „მედ ემერჯენსის“, „ვევექსის ჰოსპიტალები“ სამშობიარო სახლი და სადის აბაშიძის ინფექც. პათოლოგის, შიდსის და რუბერკულოზის რეგიონული ცენტრი“ (მ. პ. ს), და სხვ. ბუნებრივი სამკურნ. ფაქტორია სუბტროპიკული ჰავა (ეფექტურია გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა დროს) და ზღვაში ბანაობა.

არქიტექტურა

თანამედროვე ბ. საქართვე. ერთ-ერთი კეთილმოწყობილი და ლამაზი ქალაქია. მისი ინტენს. განაშენიანება XX ს. დამდეგს დაიწყო. 1927 შემუშავდა ბ-ის განვითარების დეტალური გეგმა. XX ს. 20 -30-იან წლებში ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა. 1933 შედგა ბ-ის დაგეგმარების პროექტი (არქიტექტორები ი. ყირქესალი, ბ. ლორთქიფანიძე, ლ. სუმბაძე), 1956 დამუშავდა ქალაქის რეკონსტრუქციისა და განაშენიანების ახ. გენ. გეგმა (არქიტექტორები ა. ნიკოლაიშვილი, ლ. სუმბაძე, კ. ჯავახიშვილი, ნ. ფარემუზოვა, დ. ცენტერაძე). დაპროექტდა ახ. საცხოვრ. მიკრორაიონი (სამხრ.-დას. ნაწილში, არქიტ. კ. ბურჭულაძე), შეიქმნა ახ. სანაპირო და ზღვისპირა პარკი, სადაც აშენდა საზაფხულო თეატრი (1948, არქიტექტორები კ. ჯავახიშვილი, ბ. კირაკოსიანი), აიგო სასტუმრო „ინტურისტი“ (1939, არქიტ. ა. შჩუსევი), დრამ თეატრი (1952, არქიტ. ლ. ტეპლიცკი), ნავთობგადასამუშავებელი ქ-ნის კულტსახლი (1956, არქიტ. გ. ერქომაიშვილი), კინოთეატრი „თბილისი“ (1964, არქიტ. ნ. აბაშიძე), უნივერს. მალაზია (1965, არქიტ. გ. ფოცხიშვილი). 1970 შედგა ახ. გენ. გეგმა. (არქიტექტორები კ. ჯავახიშვილი, რ. ხათიაშვილი, თ. გორგაძე). აშენდა ბავშვთა სპორტ. სკოლა (1975, არქიტ. ი. მამინაიშვილი), აჭარის მინისტრთა საბჭოს ადმ. შენობის ახ. კორპუსი (1979, არქიტ. რ. კალანდარიშვილი). გაიხსნა არქიტექტურის მუზეუმი (1979, ბათუმის ციხის ტერიტორიაზე, არქიტ. ზ. ტულუში), აშენდა ბ-ის პედ. ინ-ტის კორპუსი (1982, არქიტ. მ. მამუჭაძე), 500-ადგილიანი სასტუმრო „მედეა“ (1983, არქიტექტორები ა. ბაქრაძე, ნ. ჯობაძე), 350-ადგილიანი პანსიონატი, საერთაშ. ახალგაზრდული ბანაკი „ბათუმი“ (1985, არქიტექტორები ნ. ქორიძე, დ. ცხაკაია, ე. ჩხეიძე), 690-ადგილიანი ტურისტული სასტუმრო (1985, არქიტექტორები ე. ჩხეიძე, კ. ბურჭულაძე) და კლუბი (1986, არქიტექტორები ე. ჩხეიძე, პ. ზაგაშვილი, ს. გუმბერიძე, ნ. აბაშიძე) და სხვ. ავტოვაგზალო 900 მგზავრისათვის (1987, არქიტექტორები მ. მამუჭაძე, ნ. მიქაძე). 1988 შემუშავდა ახ. გენ. გეგმა (არქიტექტორები ბ. გაბუნია, ს. ზედგინიძე, ა. სიჭინავა, კ. ფოცხიშვილი, ეკონომისტი ლ. შანიძე). ძვ. ქალაქის თავისებური იერსახის შესანარჩუნებლად სათანადო ტერიტ. გამოცხადებულია არქიტ. ნაკრძალად, აქ ჩატარდა სარესტავრაციო და საადაპტაციო სამუშაოები. ქალაქში დგას ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი – ღვთისმშობლის ეკლესია (აგებულია 1898 – 1902 ს. ზუბალაშვილის თაოსნობით როგორც კათოლიკური ეკლესია; 1988 ძეგლს ჩაუტარდა რესტავრაცია, არქიტექტორები ზ. მამათელაშვილი, დ. მოსიაშვილი), 1989-იდან მოქმედებს როგორც ღვთისმშობლის მართლმადიდებელი ეკლესია. მოქმედებს აგრეთვე წმ. ნიკოლოზისა და წმ. სამების ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიები, მეჩეთი, სინაგოგა, ბაპტისტების ორი სამლოცველო სახლი, ორმოცდაათიანელების სამლოცველო სახლი. ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით მიდამოებში ამოაშრეს ჭაობები, გაიყვანეს ახ. მაგისტრ. ქუჩები, გაფართოვდა მწვანე ნარგავთა მასივები, მოეწყო ახ. ძლიერი წყალსადენი, გაფართოვდა საკანალიზაციო ქსელი. საქალაქო განაშენიანება ბუნებრივადაა ჩართული ზღვასა და გორაკ-ბორცვიან მთისწინეთს შორის. სწორი და გამწვანებული ქუჩები, სუბტროპ. მცენარეებით მდიდარი პარკები და სკვერები ცალკეულ არქიტ. ნაგებობებთან ერთად ქალაქის საინტერესო და

შთამბეჭდავ სახეს ქმნის.

ლიტ.: ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი ა., ბათუმის უძველესი ისტორიისათვის ახალი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე, კრ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; მ ა ნ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ა., რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან-ფრანცისკო, 1984; ნ ო ზ ა ძ ე გ., ბრძოლა, მესხეთის გამო, «კავკასიონი», პარიზი, 1937; ს ი ჭ ი ნ ა ვ ა ვ., ბათუმის ისტორიიდან (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება 1878 - 1907 წლებში), ბათ., 1958; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., ბათუმის წარსულიდან, «ბათუმის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1956, ტ. 5; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ა., ს უ რ გ უ ლ ა ძ ე პ., საქართველოს ისტორია (საკითხავი წიგნი), თბ., 1991; ყ ა უ ხ რ ი შ ვ ი ლ ი ს., ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, «ქუთაისის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1950 - 51. ტ. 10; ჯ ა ო შ ვ ი ლ ი ვ., ბათუმი, თბ., 1966; Батум и его окрестности, Батум, 1906; К о м а х и д з е Д. Х., Батуми, Тб., 1968.

ვ. ჯაოშვილი

ი. სიხარულიძე

ა. სურგულაძე

ბ. კომახიძე

გ. უშვერიძე

ე. ბავრატიონი
